სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2026 წლის 10 ივნისის № 145/01-01 ბრძანების საფუძველზე, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივნისის № 37/2026 დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 24 ივლისი 2026 წ.
თსუ XI კორპ. ოთახი #324 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მანანა ხაჩიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მაგდა ცინცაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მაია არჩუაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ტარიელ ხვედელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. გელა ბესიაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (1 საშტატო ერთეული - „ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და მისი ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა კონკურსანტის წარმოდგენილ ანკეტაში (აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი № 3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი № 4).

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის

ასისტენტ პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა

არჩილ ელიზბარაშვილმა - „ბ“ კატეგორია.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის კონკურსანტის **არჩილ ელიზბარაშვილის** შეფასება:

კონკურსანტის **არჩილ ელიზბარაშვილის** განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტის შეფასებაა **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

შეფასების **II კატეგორია** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება: 2013-დღემდე კითხულობს ლექციებს სხვადასხვა საგნებში ბაკალავრიატშიც და მაგისტრატურაშიც. საერთო პედაგოგიური სტაჟი მოიცავს 6 წელზე მეტს.

მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული ბაკალავრიატის 2 სასწავლო კურსი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (2 სახელმძღვანელო: “შესავალი GNU/Linux სისტემებში”, 2023, ელ. წიგნი;“ნეირონული ქსელები”, 2007, წიგნი, არჩილ ფრანგიშვილი, ოლეგ ნამიჩეიშვილი, არჩილ ელიზბარაშვილი, გამომცემლობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ISBN 989-99940-57-76-4). წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტ გავლილი აქვს 14 სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სერტიფიკატებით.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **„მაღალი“**.

შეფასების **III კატეგორია** (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 1 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში დ 7 პუბლიკაცია სხვადასხვა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში. მისი **ci**ტირების ინდექსი, h და g ინდექსები:

ციტირების ინდექსი: 8 - Google Scholar , 1 - Web of Science, 3 – Scopus, 8 - Publish or Perish, h ინდექსი: 2 - Google Scholar, 1 - Web of Science, 1 – Scopus, 2 - Publish or Perish. g-ინდექსი: 2 - Publish or Perish. ბოლო 6 წელში მან მიიღო მონაწილეობა 5 საერთაშორისო და 2 ლოკალურ კონფერენციაში. მონაწილეობდა ასევე 2 **საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში. იგი აქტიურად ტანამშრომლობს 3 უცხოურ სამეცნიერო ცენტრთან.**

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია:

Archil Elizbarashvili Magda Tsintsadze Manana Khachidze „Enhancing Georgian Text Processing: Transliteration Techniques“ Baltic Journal of Modern Computing, Vol. 12 (2024), No. 4, pp. 415–430 https://doi.org/10.22364/bjmc.2024.12.4.04 2024

სტატია არის მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში ნათლად ჩანს კონკურსანტის ხედვა სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. კონცეფციაში დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.
ამდენად, კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი):

- თსუ ფრანგულ-ქართული ორმაგი დიპლომის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი (დღემდე)
- სახელმძღვანელოს ავტორი: შესავალი GNU/Linux სისტემებში, ელ. წიგნი
- საერთაშორისო სერტიფიკატი ITIL® Foundation Certificate in IT Service Management, Certificate number: GR671404022AE, 2022
- უცხო ენები: ფრანგული (DELF, DALF), ინგლისური, რუსული

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის „საშუალო“.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების საფუძველზე კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 24 ივლისს 11:15 საათზე.
შეფასების I ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრებმა პრეტენდენტს დაუსვეს შეკითხვები მისი სამეცნიერო, აკადემიური და პროფესიული საქმიანობის, ასევე სამომავლო სასწავლო-სამეცნიერო გეგმების შესახებ. პრეტენდენტმა წარმოადგინა საკუთარი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი მიმართულებები, ისაუბრა განხორციელებულ კვლევებზე, გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და სამომავლო კვლევით გეგმებზე. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ურთიერთკავშირზე, სტუდენტების კვლევით პროცესში ჩართვის მნიშვნელობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს მოთხოვნებთან შესაბამისი სწავლების განვითარების აუცილებლობაზე.

კომისიამ დადებითად შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული კომპეტენცია, აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება, პედაგოგიური საქმიანობა, არგუმენტირებული პასუხები და სამომავლო განვითარების მკაფიო ხედვა. აღინიშნა მისი მზადყოფნა აქტიურად ჩაერთოს დეპარტამენტის სასწავლო, სამეცნიერო და ორგანიზაციულ საქმიანობაში.

გასაუბრების შედეგების საფუძველზე კომისიამ დაასკვნა, რომ არჩილ ელიზბარაშვილის კანდიდატურა სრულად შეესაბამება კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის ასისტენტის ვაკანსიისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

მოქმედი დებულების შესაბამისად, შეფასების ეტაპების შედეგების შეჯერების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა ერთხმად (5 მომხრე, 0 წინააღმდეგი) მხარი დაუჭირეს არჩილ ელიზბარაშვილის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო პრეტენდენტის აკადემიური, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის, პროფესიული გამოცდილების, სასწავლო-მეთოდური მუშაობის, სამეცნიერო აქტივობისა და პიროვნული თვისებების ერთობლივი შეფასების საფუძველზე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ეფუძნება კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიურ საჭიროებებსა და განვითარების სტრატეგიულ მიზნებს. კომისიამ გაითვალისწინა, რომ არჩილ ელიზბარაშვილის კვალიფიკაცია,

პროფესიული გამოცდილება და აკადემიური საქმიანობა სრულად შეესაბამება აღნიშნული პოზიციის მოთხოვნებს

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენ-ტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის („ბ“ კატეგორია) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი არჩილ ელიზბარაშვილი
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე,
პროფ. მანანა ხაჩიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
პროფ. მაგდა ცინცაძე

კომისიის მდივანი,
ასოც. პროფ. მაია არჩუაძე

კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. ტარიელ ხვედელიძე

კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. გელა ბესიაშვილი